ᲑᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1969

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 50-Ე ᲬᲔᲚᲘ ● № 176 (14476) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ







ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

წᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1969 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ, გაიᲩᲔᲚᲔ რა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისა და ᲑᲝᲗᲜᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲗᲕᲐᲓᲐᲛᲔᲓ შესრულებისათვის, 1969 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. მიმდინარე წლის აპრილში გამართული სრულიად საკავშირო საიუბილეო შაბათობა, რომელშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის თითქმის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, გადაიქცა სასიხარულო შრომითს დღესასწაულად. აღინიშნა დიდი საწარმოო მიღწევებით, მნიშვნელოვანი წვლილით ᲑᲝᲗᲜᲬᲚᲘᲐᲜᲘ გეგმის შესრულებაში. წლის პირველი ნახევრის საწარმოო წარმატებანი მიღწეულია სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობაში სერიოზულ სიძნელეთა მიუხედავად, რომლებიც გასული ზამთრის არახელსაყრელი ამინდის პირობებმა გამოიწვია.

I. ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ წლის პირველი ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით. 1968 წლის პირველ ნახევართან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 6 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 7 პროცენტით.

მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის წარმოება გადიდდა:

ელექტროენერგეტიკა	3 პროცენტით
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	12
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	7
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	4
საშენ მასალათა მრეწველობა	4
მსუბუქი მრეწველობა	6
აქედან: საფეიქრო მრეწველობა	4
კვების მრეწველობა	11
აქედან: კარაქის, ყველისა და რძისა	4
მეღვინეობისა	20
ხილ-ბოსტნეულისა	2
ჩაისა	5
თამბაქოსი	24

წლის პირველი ნახევრის დამლევს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 645 სამრეწველო საწარმო, რომლებმაც აწარმოეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 76 პროცენტი და მოგვცეს მოგების 88 პროცენტი. პროდუქციის რეალიზაციის წლის პირველი ნახევრის გეგმა ამ საწარმოებმა 101 პროცენტით შეასრულეს.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას და წარმოების ზრდის ტემპებს ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1969 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1969 წლის I ნახევრის პროდუქციის მოცულობა 1968 წლის I ნახევართან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო	103	103
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	94	111
ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	103	109
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	91	98
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	98	106
კვების მრეწველობის სამინისტრო	106	113
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	105	100,8
ხილ-ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი	113	124
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	106	121
პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი	106	109

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების ზრდის ტემპებმა ქალაქ თბილისში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში შეადგინა:

	1969 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1969 წლის I ნახევრის პროდუქციის მოცულობა 1968 წლის I ნახევართან შედარებით
ქალაქი თბილისი	100,5	107
აფხაზეთის ასსრ	105	120
აჭარის ასსრ	102	108
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	109	104

სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ ნატურალური გამოხატულებით შეადგინა:

	1969 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1969 წლის I ნახევრის პროდუქციის მოცულობა 1968 წლის I ნახევართან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები (მილიონი კილოვატ-საათი)	4117	107
ქვანახშირი — ათასი ტონა	1149	103
მარგანეცის მადანი — ათასი ტონა	747	90
თეჯრი — ათასი ტონა	406	95
ფოლადი — ათასი ტონა	683	92
მზა ნაგლინი — ათასი ტონა	505	83
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	12	96
ათასი ტონა	218	94
კოქსი საერთო — ათასი ტონა	333	100,0
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეული)—ათასი ტონა	230	83
სატვირთო ავტომობილები — ცალი	6401	107
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	1707	90
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	41	84
ცემენტი — ათასი ტონა	679	97
მიფერი — მილიონი პირობითი ფილა	27	82
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	410	103
ქაღალდი — ათასი ტონა	18	114
ავეჯი — მილიონი მანეთისა	16	105
პიანინოები — ცალი	1785	87
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	76	116
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	26	94
შალის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	3855	105
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	14	112
წინდა — ათასი წყვილი	7507	89
ტრიკოტაჟის საცვლები—ათასი ცალი	9691	103
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	4089	116
ტყავის ფეხსაცმელი—ათასი წყვილი	6728	97
ხორცი* — ათასი ტონა	14	88

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐᲓ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ, 30 ივლისი. (საკდესი). ჩილის „ორიონტეს“ გამომცემლობამ ესპანურ ენაზე ცალკე ბროშურად გამოუმცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე. ბროშურა დასათაურებულია „კომუნისტთა შეკავშირების განმტკიცებისათვის, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ახალი აღმავლობისათვის“.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). დასავლეთ ბენგალიის შტატის დედაქალაქ კალკუტაში გაიხსნა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ფილმების კინოფესტივალი.

ფესტივალზე, რომელიც მოაწყო კალკუტის ახალგაზრდულმა ასოციაციამ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ბევრი საბჭოთა ფილმი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 30 ივლისი. (საკდესი). ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ მოწვევით 28-29 ივლისს ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲨᲘ მუშაობრულ ვიზიტად იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი. აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გ. ჰუსაკს მოლაპარაკება ჰქონდა ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ტ. ჟივკოვთან ორივე მოძმე პარტიისა და ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე. გულითად და გულთბილ ვითარებაში ორი მოძმე პარტიის პირველმა მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი ქვეყნების მდგომარეობასა და იმ პრობლემებზე, რომლებსაც წყვეტენ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘᲡ კომპარტია და ჩეხოსლოვაკიის კომპარტია. მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სოციალიზმის მშენებლობაში ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘᲡᲐ და ჩეხოსლოვაკიის შემდგომი თანამშრომლობის საკითხებზე, განიხილეს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პრობლემები. ყველა განხილულ საკითხებზე, აღნიშნულია კომუნიკეში, მხარეები ერთი აზრისა არიან.

ორივე პარტიის წარმომადგენლებმა მაღალი შეფასება მისცეს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირს, და აღნიშნეს, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალების შეკავშირებისათვის. მათ გამოთქვეს ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘᲡ კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საერთო მისწრაფება განახორციელონ ამ თათბირის გადაწყვეტილებანი.

გ. ჰუსაკმა სთხოვა ტ. ჟივკოვს მეგობრულ ვიზიტად ჩავიდეს ჩეხოსლოვაკიაში. ტ. ჟივკოვი მადლობით დათანხმდა ამ მიწვევას. ვიზიტის თარიღს შემდეგ დაუზუსტებენ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების და პროპაგანდის საქმეში დამსახურებისათვის გაზეთი „ლელო“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1969 წლის 30 ივლისი.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲣᲩᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

როგორც აჟერპრესის საგანგებო გვაცუობინებს, პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა 1971-1975 წლების ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ გეგმის დირექტივების პროექტი და ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების გეგმის მონახაზები. პლენუმმა გადაწყვიტა ეს საკითხები გაიტანოს რუმინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის განსახილველად.

პლენუმმა განიხილა პარტიის X ყრილობის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. პლენუმის გადაწყვეტილებით, რუმინეთის კომპარტიის X ყრილობა გაიხსნება 1969 წლის 6 აგვისტოს.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ინფორმაცია კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობის შესახებ.

Უ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). ᲐᲮᲚᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფის მეთაურის ო. ᲑᲣᲚᲘᲡ განკარგულებით „დროებით დაიხურა“ სამი სათვალთვალო პუნქტი, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა. როგორც გენერალური მდივნის წარმომადგენელმა თქვა, ეს განხორციელდა იმასთან დაკავშირებით, რომ იქ არ არის შექმნილი „შესაბამისი პირობები პერსონალის უშიშროების დაცვისათვის“.

როგორც ადრე იუწყებოდნენ, ერთ-ერთ პუნქტში დაიღუპა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურე შვედი მაიორი რ. პლეინი.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲣᲩᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

როგორც აჟერპრესის საგანგებო გვაცუობინებს, პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა 1971-1975 წლების ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ გეგმის დირექტივების პროექტი და ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების გეგმის მონახაზები. პლენუმმა გადაწყვიტა ეს საკითხები გაიტანოს რუმინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის განსახილველად.

პლენუმმა განიხილა პარტიის X ყრილობის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. პლენუმის გადაწყვეტილებით, რუმინეთის კომპარტიის X ყრილობა გაიხსნება 1969 წლის 6 აგვისტოს.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ინფორმაცია კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობის შესახებ.

ᲠᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა რუსეთის სფსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა დღის წესრიგის პუნქტისა — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ა. დემჩენკოს მოხსენებისა „საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები რუსეთის სფსრ ქალაქების, მუშათა დაბების, სასოფლო დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის გაუმჯობესებისა და ზამთრისათვის მათი მომზადების შესახებ“.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი გ. ი. ვორონოვი.

დღის წესრიგის მეორე პუნქტზე მოხსენება რუსეთის სფსრ ქორწინებისა და ოჯახის კოდექსის პროექტის შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. Ზ. ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲕᲘᲩᲘᲡᲗᲐᲛ.

დღის წესრიგის მესამე პუნქტზე — რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება — გამოვიდა დეპუტატი Ბ. Პ. ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲝᲕᲘ. რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ბრძანებულებანი და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილება.

ამით რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საკდესი).

ᲧᲘᲚᲓᲝ—ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲘᲡ სრულიად საკავშირო დღის წინ ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მოსკოვიდან მიიღეს დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის გზათა მინისტრი ᲑᲔᲠᲘᲩᲘᲕი და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ᲩᲔᲠᲔᲓᲜᲘᲩᲔᲜᲙᲝ. დეპეშაში აღნიშნულია, რომ 1969 წლის მეორე კვარტალში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ამერკავკასიის მაგისტრალის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. გარდა ამისა, კოლექტივი დაჯილდოებულია სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელით ოთხი კვარტალის მანძილზე თანაბარი მუშაობისათვის.

ამიგად, ამერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა კოლექტივი ზედიზედ მეოთხედ იმარჯვებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დეპეშაში ულოცავენ რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღეს და გამოთქვამენ რწმენას, რომ გზის კოლექტივი ახალ საწარმოო წარმატებებს მიაღწევს, დროულად მოამზადებს მეურნეობას ზამთრისათვის, უზრუნველყოფს ᲑᲝᲗᲜᲬᲚᲘᲡ მეოთხე წლის დავალებებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას. (საკდესი).

1.000 ᲢᲝᲜᲐ ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲧᲘᲚᲘ

საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა Თ. ᲥᲘᲠᲥᲐᲫᲛᲛ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ Ი. ᲛᲣᲨᲘᲜᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს-უფროსმა შ. ᲧᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მეხილეებმა 30 ივლისისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ᲙᲣᲠᲙᲝᲕᲐᲜᲘ ხილის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.700 ტონა ᲙᲣᲠᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲘᲚᲘ ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.170 ტონისა.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდონ 1.000 ტონა ᲙᲣᲠᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲘᲚᲘ. ვალდებულების ანგარიშში უკვე დამზადებულია 530 ტონა ხილი.

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ, რომლებიც ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და სოფლის მეურნეობის უველა დარგის აღმავლობისათვის შეჯიბრების ინიციატორები არიან, ახალ წარმატებებს აღწევენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. დასახული ზღუდე პირველებმა აიღეს რაიონის სახელოვანმა მეჩაიეებმა. ᲛᲐᲗ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲡ 4.435 ᲢᲝᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ 100,9 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ.

ეს წარმატება განაპირობა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, მეჩაიეთა კარგმა, მაღალნაყოფიერმა მუშაობამ. ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ განსაკუთრებით ისახელეს თავი უშაფათის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე Თ. ᲮᲣᲑᲣᲐ, პარტბიუროს მდივანი Დ. ᲒᲝᲒᲘᲜᲐᲕᲐ), ფოცხის კიროვის სახელობისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები Ი. ᲪᲐᲐᲕᲐ, Შ. ᲓᲔᲛᲣᲠᲘᲐ, პარტბიუროს მდივნები — ᲐᲚ. ᲥᲣᲗᲔᲚᲘᲐ და Ბ. ᲙᲝᲠᲨᲘᲐ). ᲮᲝᲠᲨᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲛ“ (თავმჯდომარე ᲐᲚ. ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ, პარტბიუროს მდივანი Ბ. ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ), ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲛ (თავმჯდომარე Მ. ᲑᲔᲚᲯᲐᲜᲘᲐ, პარტბიუროს მდივანი Ბ. ᲑᲐᲠᲙᲐᲚᲐᲘᲐ), ᲒᲔᲯᲔᲗᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მეურნეობამ (დირექტორი Ო. ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ, პარტბიუროს მდივანი Ბ. ᲜᲘᲙᲣᲠᲐᲫᲔ).

რაიონის სახელოვან მეჩაიეთა დიდ არმიაში თავდადებული შრომით ახალ წარმატებებს მიაღწიეს მეჩაიეებმა — ᲚᲘᲚᲘ ᲥᲐᲓᲐᲠᲘᲐᲛ, ᲒᲣᲚᲘ ᲥᲕᲐᲠᲪᲮᲐᲕᲐᲛ, ᲛᲐᲠᲒᲝ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐᲛ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲣᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ, ᲛᲔᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ, ᲒᲝᲒᲣᲪᲐ ᲒᲣᲒᲣᲜᲐᲕᲐᲛ, ᲠᲐᲘᲡᲐ ᲑᲐᲠᲙᲐᲚᲐᲘᲐᲛ და ასობით სხვა მეჩაიემ. თვითეულმა დღემდე მოკრიფა 5-6,5 ტონა ხარისხოვანი ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ. ᲐᲮᲚᲐ ისინი იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების ვადამდე შესრულებისათვის.

რაიონის ᲩᲐᲘᲡ პლანტაციებში ადრე დილიდან გვიან ღამემდე არ ცხრება ენერგიული შრომა და გრძელდება ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ. ცხაკაიელმა მეჩაიეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲗ 1.000 ᲢᲝᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ.

Ბ. ᲛᲘᲚᲘᲣᲢᲘᲜᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორ.



ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲐᲜᲘᲡ ᲔᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ სახელობის კოლმეურნეობა წელს მოკრეფს 800 ტონაზე მეტ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ. ᲐᲮ საქმეში თავი გამოიჩინეს ცხაკაიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა. ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲒᲐᲓᲚᲘᲜᲐ ᲒᲐᲡᲘᲚᲘᲐ და ᲒᲐᲓᲚᲘᲜᲐ ᲑᲡᲘᲚᲘᲐ, რომლებმაც მოკრიფეს ორ-ორი ტონა ᲩᲐᲘᲡ ᲮᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ Ი. ᲜᲐᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. (საკდესის ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘკᲘ).

მინა, წყალი და მოსავალი

ოთარ საბაშვილი,
საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი.

ჯარბახანის დავიწყებას მიეცა ადგილი, გარეკახეთის ივრისპირა მიწები მწირიაო. ახლა საგარეჯო ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონია. როცა რაიონის ხიდიდეს და წარმატებებზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით მრავლისმეტყველ ციფრებს. რაიონში 97.885 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია. აქედან 27.304 ჰექტარი სახნავია, 2.808 ჰექტარი ვენახს უჭირავს, 618 ჰექტარი — ბაღებს, 65.655 ჰექტარი სათიბ-საძოვრებს.

რაიონში ერთ დროს მემინდვრეობა და მეცხოველეობა ყოო ჭამყვანი. შემდეგ ერთგვარად შეიცვალა მდგომარეობა. ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკაში ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს მევენახეობა. ამყამად საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის შემოსავლის ძირითადი წყარო ზვრებია. ამ ექვსი წლის წინათ რაიონში ვენახები ორი ათას ჰექტარს არ აღემატებოდა. მაშინ სახელმწიფოს 6.737 ტონა ყურძენი მივიღეთ. გასულ წელს ვენახების ფართობმა 3.800 ჰექტარს გადააჭარბა, სახელმწიფოს 9.875 ტონა ყურძენი მიიღო. ახალი ხუთწლედის მეოთხე წელს 12.528 ტონა ყურძენს მივიყიდით სახელმწიფოს, ხოლო ხუთწლედის ბოლო წელს — 15.765 ტონას. ყურძნის უხვი მოსავლით თავი ისახელეს მანაველმა ცოლ-ქმარმა ციალა კუჭუაშვილმა და ვალერიან ბაზერაშვილმა. ცოლ-ქმრის ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან და წარმატებასაც აღწევენ, ნაკისრ ვალდებულებებს ყოველთვის გადამეტებით ანაღდებენ.

მევენახეობის განვითარებამ რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ეკონომიურად მომძლავრა. ეს პირველ რიგში ითქმის მანავისა და საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობებზე, კაკაბეთის, ყანდაურის, ნინოწმინდის, პატარძეულისა და სხვა კოლმეურნეობებზე.

საკმარისია აღინიშნოს, რომ რაიონში შარშან 7.917 ათასი მანეთის პროდუქცია ვაწარმოეთ, აქედან 2.470 ათასი მანეთი მევენახეობიდან იყო.

მემინდვრეობა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯერ ერთ-ერთ წამყვან დარგად რჩება. მიმდინარე წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურები თოთხმეტი ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე გვეთესა. ნათესების აგროწესების მტკიცედ დაცვით მოვლა-პატრონობამ გარკვეული წარმატებები მოგვიტანა. 20.500 ტონა მარცვლეულს ვაწარმოებთ. კარგახანია უკვე შევასრულეთ მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად 3.425 ტონისა სამშობლოს მივყიდეთ 4.425 ტონა მარცვლეული, ანუ 1.000 ტონით მეტი. გეგმის შესრულებაში თავი გამოიჩინეს კაკაბეთის წითელი ოქტომბრისა და XXI პარტყრილობის სახელობის, ვერხვიანისა და პატარძეულის კოლმეურნეობებმა, ივრისა და მანავის საბჭოთა მეურნეობებმა. რაიონში ყველა იცნობს შრომისმოყვარე კომბაინერებს ფ. ამბარდნიშვილს, ვ. ალექსაშვილს, ვ. ხარებაშვილს და ბევრ სხვას.

მეცხოველეობაც ჩვენთან ერთ-ერთი მთავარი დარგია. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები ყოველწლიურად გადამეტებით სრულდება. 1967 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 10.984 ცენტნერი ხორცი, შარშან — 11.159 ცენტნერი. მიმდინარე წელს მივყიდით 12.750 ცენტნერ ხორცს, ხოლო ხუთწლედის ბოლო წელს — 16.330 ცენტნერს. ასევე მატულობს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვა. 1967 წელს სამშობლომ მიიღო 25.881 ცენტნერი რძე, შარშან — 26.651 ცენტნერი, მიმდინარე წელს ქვეყანას მივცემთ 29.420 ცენტნერ რძეს, ხოლო მომავალ წელს 31.990 ცენტნერზე მეტს.

გარდა ამ დარგებისა, რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მებოსტნეობასა და მებაღეობას.

წელს ჩვენი მეცხოველეების წინაშე სერიოზული ამოცანებია დასახული. ვალდებულება წარმატებით რომ შესრულდეს, საჭიროა საკვები ბაზის განმტკიცება. საკვებ რაციონში კი მთავარია უხეში და წვნიანი საკვები. წელს ვალდებულებით 18.000 ტონა უხეში საკვები უნდა დავამზადოთ, უკვე გვაქვს 11.000 ტონა. ჩვენ დახმარების ხელი გავუწოდეთ ადიგენის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებს, ისინი დიდძალ უხეშ საკვებს მიიღებენ ჩვენგან.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს რწყვას. წყლის სიკეთე მკვეთრად გამოვლინდა უკანასკნელ წლებში, როცა გაფართოვდა სარწყავი ქსელი. სულ მალე დამთავრდება ქვემო სამგორის სარწყავი ქსელის მშენებლობა. მდინარე ივრის წყალი ჩვენი რაიონის ბევრი სოფლის მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში ჯერ კიდევ შარშან მივიდა. ამან საშუალება მოგვცა გაგვიდიდებინა ყურძნისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. ქვემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობა როცა მთლიანად დამთავრდება, როცა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მეტი წილი მიწები გასარწყავდება, მაშინ ერთიორად იმატებს მინდვრის ხვავი, ზვრების ბარაქა და მეცხოველეობის პროდუქტები. ამასთან უფრო შეძლებული გახდებიან ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, უფრო კარგად იცხოვრებენ სოფლის მშრომელები.

როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, როცა მომავალზე ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ადამიანთა შეგნებულ, ორგანიზებულ, კოლექტიურ შრომაზე ვამყარებთ მთელ იმედებს. კოლექტიური შრომაა საზოგადოებრივი მეურნეობის წინსვლის უტყუარი გარანტია. სოფლის მშრომელთა ერთობლივ შრომას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებას, მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვას დიდი ზღვდეების აღება შეუძლია.

შეგნებულ კოლექტიურ შრომაში მშრომელებს ჩინებულ მაგალითს უჩვენებენ ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ავანგარდი — კომუნისტები. სწორედ კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები რაზმავენ მშრომელებს საპატიო დავალებათა შესასრულებლად.

პოლიტიკური აგიტაცია კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შემადგენელი ნაწილია, მასების აღზრდისა და მობილიზაციის შესანიშნავი საშუალებაა. ამიტომაც აგიტატორები, პოლიტინფორმატორები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. რაიონში 600-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი წარმატებით ასრულებს თავის მოვალეობას. მათ შესწევთ უნარი მშრომელებს განუმარტონ სადღეისო ამოცანების შესრულების დიდი მნიშვნელობა. რაც უფრო კარგად იცან ადამიანებმა თავიანთი ამოცანები, მოვალეობა, მით უფრო მაღლდება შრომითი აქტივობა, ენთუზიაზმი.

ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის კომუნისტები. აქ კარგად, ორგანიზებულად მოეწყო მოსავლის აღების სამუშაოები. მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა, აგიტატორებმა, პოლიტინფორმატორებმა მოსავლის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში ასაღებად დარაზმეს მშრომელები. მემინდვრეობის ბრიგადირებმა ო. ოტიაშვილმა და გ. ხითარიშვილმა, რომლებიც პარტბიურომ აგიტატორებად გამოყო, ჩინებულად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას.

მოსავლის აღების პერიოდში ორგანიზებულად მოაწყეს საგიტაციო მუშაობა კაკაბეთის „წითელი ოქტომბრის", ყანდაურის, პატარძეულის, ნინოწმინდის კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

რაიონის მშრომელები ენერგიულად, ყველა შესაძლებლობის გამოყენებით იბრძვიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტიკრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. ახლა მთელი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ ღირსეული შრომითი საჩუქრები მოუმზადონ დიად იუბილეს. მთელი საagიტაციო მუშაობა გადატანილია მინდვრად, ვენახებში, ფერმებში. აგიტატორების, პოლიტინფორმატორების მუშაობა იქითკენ არის მიმართული, რომ დარაზმან მშრომელები რაიონის ხუთწლიანი გეგმების ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესასრულებლად.



ფრთებს ისხამს ხუთწლედი

△ საგარეჯოელები ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან და ახალ ხუთწლედში წარმატებას აღწევენ ყურძნის, მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. რაიონის 97.885 ჰექტარი სავარგულები მაქსიმალურად არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის.

△ ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში 54.294 ტონა მარცვლეული აწარმოეს, სახელმწიფოს 17.125 ტონის ნაცვლად მიეყიდა 14.781 ტონა. შესყიდვა გრძელდება.

△ მევენახეობა მთავარ დარგად გადაიქცა. უკანასკნელ ექვს წელიწადში 2.863 ჰექტარზე გაშენდა ვენახი. ამ ხნის მანძილზე სახელმწიფოს მიეყიდა 31.750 ტონა ყურძენი. ახალი ხუთწლედის გოლო ოო წელიწადში 400 ჰექტარზე მეტი ახალი ზვრები შეემატება საზოგადოებრივ მეურნეობებს, სახელმწიფოს მიეყიდება 28 ათასი ტონა ყურძენი.

△ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა 49 მილიონი მანეთი ჯდება. რაიონს 23 ათასი სარწყავი მიწა შეემატება. სარწყავზე ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი პური, 24 ცენტნერი ქერი. ვენახების ივრის წყლით მორწყვის შემდეგ ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე 70 ცენტნერამდე გადიდდება, მარცვლეულისა — 25 ცენტნერამდე.

ჯარაქიანი ალოობა კქონდათ საგარეჯოელ მემინდვრეებს. თავთავიანი მარცვლეული კულტურების ნათესებს აბრეშუმების დაცვით უვლიდნენ, ყოველგვარ სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად აწარმოებდნენ. შრომა დაუფასდათ მემინდვრეებს. უხვი მოსავლის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვის გაჩაღებულ სოცმეჯიბრებაში ჩაბმული იყვნენ კომბაინერები, კალოზე მომუშავე მექანიკოსები, მემინდვრეები. მოსავალი დროზე აიღეს ნინოწმინდის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველებმა. მათ 90 ტონის ნაცვლად 140 ტონა ჯურეული მიაყიდეს სახელმწიფოს.

სურათზე: ხორბლის წმენდა ნინოწმინდელთა მექანიზებულ კალოზე.

ფოტო ვ. უუშიტაშვილისა.

ხალხი უმღერის

გარეკახეთის თვალი ხარ

გარეკახეთის თვალი ხარ,
თვალ-საგარეჯოს ქებულო,
მშრომელო ხალხო, „ცივ-
კოდის"
ნიავით გალაღებულო.
ალალი შრომის ნაყოფით
მდიდარო, ამაღლებულო,
დიდი ლენინის აზრებით
თვალ-გუგა განათებულო...
წარსულს ჩაბარდა ძველი
დრო,
არსახსენები, ტიალი,
ორღობეებში ტალახი,
გზები ვიწრო და მტვრიანი,
„ლენინიკების" ჯალჯალი,
ურმის გაბმული ჭრიალი,
სახლები ჩაბნელებული,
მიწაყრილ-ბანბებიანი...
გახედე ახლა ასფალტსა,
სარკისებრ გაავქს კრიალი,
ზედ მანქანები დაჰქრიან
სასიამოვნო გრიალით,
სახლები წამოვიმოულან
მრავალი სართულიანი,
„სათავის" ცივ-ცივ
წყაროებს
მილებში გააქვთ ჩხრიალი,
ღამე სულ გადაიკარგა,
ქალაქში ღამეც დღე არი,
წინ მივალთ გამარჯვებულნი
ლენინის დროშის ფრიალით.

ჩაიწერა ნ. ბარეჯელმა.

როცა მდინარე აღმა მიდის

საგარეჯოს რაიონს ამ ათი წლის წინათ მხოლოდ შვიდი ჰექტარი სარწყავი მიწა ჰქონდა. სარწყავი სისტემა კი პრიმიტიული პატარა არხები იყო. არხებს არ ჰქონდა კაპიტალური ნაგები. ამ ნაგებობანი და წყლის მიღებას მდინარეებიდან ვაწარმოებდით მიწის ყრილებისა და ქვაფიჩხის ჯიბრიბების მოწყობით, რაც წყალდიდობის დროს მთლიანად ისპობოდა და ხელახლად გასაკეთებელი ხდებოდა. სარწყავი ფართობების ნახევარი პირობითი სარწყავი იყო, წყალს ვიღებდით რაიონში არსებული ხევებიდან და პატარა მდინარეებიდან. გვალვიან წლებში მდინარეები შრებოდა და სასოფლო-სამეურნეო კულტურები იღუპებოდა, ანდა ძლიერ მცირე მოსავალს გვაძლევდა.

შვიდი წლის წინათ დაიწყო ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც მომავალ წელს დამთავრდება. არხის მშენებლობა 49 მილიონი მანეთი ჯდება. გასარწყავდება 40 ათასი ჰექტარი მიწა.

პერსპექტიული გეგმით საგარეჯოს რაიონში სარწყავ ფართობებზე გაშენდება 6.300 ჰექტარზე ხეხილის ბაღი, 910 ჰექტარზე ბოსტნეული. 14 ათასი ჰექტარი მარცვლოვან კულტურებს დაეთმობა.

სარწყავი ვენახის ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 70 ცენტნერ ყურძენს. ურწყავში კი 40 ცენტნერს ვიღებთ. სარწყავში ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერ ხილს მივიღებთ. ეს მაშინ, როცა ახლა მოსავალი 30 ცენტნერს არ აღემატება. ნაცვლად 15 ცენტნერისა (ურწყავში) ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვლის მიღებაა დაგეგმილი. მშესუმშირას მოსავლიანობა 18 ცენტნერამდე ავა. ახლა კი 10 ცენტნერს არ აღემატება.

გასარწყავებულ ფართობებზე სარწყავ წყალს ნაყოფიერად იყენებენ საგარეჯოს და ივრის საბჭოთა მეურნეობები, კაკაბეთის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა.

რწყვის საქმეს კარგად დაეუფლნენ საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის მრწყველი ბრიგადირები გ. ღვინიაშვილი, ი. კურდღელაშვილი, შ. გოგიტაშვილი და ა. ქაიხოსროშვილი; მრწყველები — გ. დარბაისელი, ვ. კაკუაშვილი, ა. კუჭუაშვილი.

გაივლის სულ ცოტა დრო, და ივრისპირეთი წალკოტად იქცევა, უფრო იმატებს მიწის ბარაქა, უფრო უხვად იქნება პრდუქტები.

ი. დარბაისელი,
ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი.

□ □ □

ვენახის სიკეთე

საგარეჯოს რაიონის ეკონომიკაში წინათ მთავარი და გადამწყვეტი იყო მემინდვრეობა და მეცხოველეობა. მაგრამ ბოლო ათწლეულში მევენახეობა ისე განვითარდა, რომ ეს დარგი შემოსავლის დიდი წყარო გახდა.

ყოველწლიურად ახალი და ახალი ვენახები შედის სრულ მსხმოიარობაში. ამიტომ ყოველწლიურად მატულობს ყურძნის წარმოება და დამზადება. გეგმები დიდი გადამეტებით სრულდება. 1964 წელს 6.737 ტონა ყურძენი მივყიდეთ სახელმწიფოს, 1965 წელს — 9.624 ტონა, ხოლო შარშან — 9.875 ტონა. ახალი ხუთწლედის გასულ სამ წელიწადში სამშობლომ მიიღო 28.550 ტონა ყურძენი, წელს 12.528 ტონას მივყიდით, ხოლო მომავალ წელს 15.765 ტონას.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი ჩვენმა „მანავის მწვანემ". ამ არომატულ ღვინოზე ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება. ამიტომ გასაგებია ის შეუნელებელი ზრუნვა, რასაც აქაური მევენახეები და მეღვინეები იჩენენ მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და ღვინის ტექნოლოგიის გაუმჯობესებისადმი. შარშან მანაველმა მევენახეებმა სახელმწიფოს 2.715 ტონა ყურძენი მიჰყიდეს. აქ 980 ჰექტარი მსხმოიარე ვენახია, სულ კი ზვრების ფართობი 1.180 ჰექტარია. წელს მანაველები 4.200 ტონა ყურძენს დაამზადებენ.

საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა შარშან 1.368 ტონა ყურძენი მიიტანეს სახელმწიფოს მარაწში. მათ არც კაკაბეთს „წითელი ოქტომბრისა" და XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობები ჩამოუვარდებიან.

მევენახეობასთან ერთად განვითარდა მეღვინეობაც. თუ წინათ მხოლოდ ერთი — მანავის ღვინის ქარხანა იყო, ახლა ასეთივე ქარხნებია საგარეჯოში, ბადიურსა და ხაშმში. ჩვენებურმა ღვინოებმა საერთაშორისო და საკავშირო დეგუსტაციებზე არაერთხელ დაიმსახურეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

მომავალი წინ არის. ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მთელი სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ უფრო იმატებს ჩვენი ზვრების ბარაქა, მშრომელთა სუფრას მივცემთ სულ უფრო მეტსა და მაღალხარისხოვან ყურძნისა და ქართულ, არომატულ ღვინოებს.

ა. აჩელაშვილი,
სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

• • •

სურათზე: დაწვიმებით რწყვა პატარძეულის კოლმეურნეობის ვენახებში.



იცვლის სახეს რაიონი

ბოლო ხუთი წლის მანძილზე ჩვენი რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში ბევრი სასიხარულო ცვლილება მოხდა მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის, კეთილმოწყობის და კულტურის დარგში. პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვით მნიშვნელოვნად იცვალეს სახე ქალაქმა საგარეჯომ და რაიონის სოფლებმა.

საგარეჯოში აშენდა 8 მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. კარგი საცხოვრებელი სახლები აეშენეს აგრეთვე საგარეჯოს, მანავის და იორის საბჭოთა მეურნეობებმა.

საგარეჯოს ცენტრში უკვე დაიწყო ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის მშენებლობა თავისი სპორტული ბაზებით. საგარეჯოელმა ახალგაზრდებმა ფეხბურთის კეთილმოწყობილი სტადიონის სახით კარგი საჩუქარი მიიღეს. სოფლებში მარტივი ტიპის საკმაოდ მოედნების და სტადიონების მშენებლობანი უკვე მიმდინარეობს.

საგარეჯოში მოეწყო ხუთასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური. ავტომატური სადგურები აშენდა ავრეთვე ხაშმსა და პატარძეულში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მშრომელთა სამედიცინო მომსახურებას. მარტო შარშან საექიმო ამბულატორიები აშენდა გიორგიწმინდაში, ყანდაურში, ამჟამად მიმდინარეობს საგარეჯოს 240-ადგილიანი საავადმყოფოს სპროექტო სამუშაოები. ფართო პერსპექტივები ისახება ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ციგ-კოდის, მანავის, უჯარმის კეთილმოწყობის საქმეში. შარშან კურორტ ციგ-კოდაზე ქალაქის სანავშო ბაგების და ბაღების ბავშვთა საზაფხულო დასვენებისათვის აიგო ორი შენობა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის რაიონში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 18 საალონი, 6 ბანო, მალე რაიონის ცენტრში გვექნება კეთილმოწყობილი პიგეიენის სახლი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მოსახლეობის წყლით მომარაგების საკითხებს. წყალსადენები მოეწყო ხაშმში, მანავში, იორმუღანლოში. ამჟამად წყალსადენის მშენებლობა მიმდინარეობს გომბორში, კაკაბეთში, ყანდაურში და თვით საგარეჯოში. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ბადაიფრის წყალსადენი. იგი სასმელი წყლით მოამარაგებს კაკაბეთის და ყანდაურის სასოფლო საბჭოების ხუთ სოფელს.

ბოლო წლებში სასოფლო საბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სოფლების კეთილმოწყობის საქმეს. როგორც წესი, ყველა მშრომელი წელიწადში ათ დღეს თავისი სოფლის კეთილმოწყობაზე მუშაობს. სოფლები დაამშვენეს კოლმეურნეთა ახალმა ორსართულიანმა სახლებმა, გამწვანდა სოფლების ცენტრალური გზები, გაშენდა პარკები, აიგო დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკები.

დიდად ამაღლდა მოსახლეობის კულტურული დონე. ამჟამად რაიონში მუშაობს 20 სასოფლო კლუბი, 18 ბიბლიოთეკა, რომლის წიგნების ფონდი 200 ათასს აღემატება, ერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

საქართველოს სახალხო პოეტის გ. ლეონიძის დაბადების 70 წლისთავისათვის გაიხსნება მისი სახლ-მუზეუმი. ამჟამად მშენებლობის პროცესშია საგარეჯოს კულტურის სახლი 600 მაყურებლისათვის და კინოთეატრი. კულტურის სახლი შენდება აგრეთვე ყანდაურში.

ამ უბრალო ჩამოთვლითაც ცხადია, თუ რა გაკეთდა რაიონში. მაგრამ ჩვენ მშენებლობის მხრივ უფრო დიდ პერსპექტივებს ვისახავთ. ამჟამად რაიონში მშენებლობის პროცესშია 30-ზე მეტი ობიექტი. მათ შორის არის საგარეჯოს „ბეს-69 ტიპის" მსუბუქი ავტომაქანქანების შემკეთებელი ქარხანა, წელიწადში 40 მილიონი ადგურის წარმადობის ქარხანა, ღვინის ქარხანა სოფელ მანავში, 48-ბინიანი და 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლები საგარეჯოში, წყალთა მეურნეობის სასოსტეგმი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა და სხვ.

წელს სექტემბერში საგარეჯოს საწარმოები და მოსახლეობა მიიღებს ბუნებრივ გაზს, დამთავრდება ქალაქის კანალიზაციის და წყალსადენების სამუშაოები.

ასე იცვლის სახეს რაიონი, შენდება სოფლები, მშვენდება ქუჩები, უფრო კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობენ ჩვენი მშრომელები. რაისაბჭოს აღმასკომი, სასოფლო საბჭოები რაიონის პარტიული ორგანიზაციების ხელშეწყობით ენერგიულად შრომობენ რაიონის სოფლების კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ა. დავითაშვილი,
საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



ივრის ბანთიადი — ასე უწოდეს თავიანთ გაზეთს საგარეჯოელებმა. მდინარე ივრის ნაპირებზე გადაშლილ კობწია სოფლებში, ზვრებში, ბარაქიან ხოდაბუნებში, მთასა თუ ბარში მართლაც სამრავალჟამო განთიადია, რომელიც არასოდეს არ დაიბინდება. პატარეული, გიორგი ლეონიძის პატარძეული! ამ სოფლის სილამაზით რომ დასტკბეთ, ზემოთ, „გრძელას" გორაზე უნდა ახვიდეთ და იქიდან გადმოიხედოთ. ძველი, ქონგურებიანი ციხეებისა და ეკლესიების გვერდით ორსართულიანი ქვეტკირის სახლები მწვანეშია გახვეული. ნიადაგდღე უწყლობას უჩიოდნენ პატარძეულელები. ზაფხულობით წყალი მოსარწყავად კი არა, დასალევადაც ძნელი საშოვნელი იყო.

— ყველაფერს მოვესწარ, კაცის ჰაერში ფრენასა, ნატვრის თვალსა — ტელევიზორსა, ჩაიხედავ და ყველაფერს რომ ნახავ და გაიგებ, მაგრამ ის კი აღარ მეგონა, რომ იორი „გრძელასა" და „წითლობის" გორებზე ამოვიდოდა. აი დედასა, რა არი ადამიანი, რას არ მოიგონებს! — უკვირს სამოცდაცამეტი წლის მევენახე ალიბრენ პატარკაციშვილს. გაოცებული და თან ნასაამოვნები ხელისგულით თვალებს იჩრდილებს და „გრძელასა" და „წითლობის" გორების ძირში გაშენებული ვენახის ირგვლივ ვემაპებივით მკვნინავ საწვიმარ დგანებს გასცქერის, — ღმერთო, შენი ჭირიმე, უღრუბლო ციდან წვიმა მოდის, მა რა არი. ვინა თქვა უღრუბლო ციდან არ იწვიმებსო. აი თქვენ გაიხარეთ, თქვენა. ამ მაღლიანი, დასიცხული ვაზების ღოცვა გეყოფათ ალხენად, — თავისთვის ბუტბუტებს ბერიკაცი და თან თვალს ვერ აცილებს ორმოცდაათმეტრიანი შადრევნების შეჯიბრებას.

მართლაც ერთმანეთს გასჯიბრებიან შადრევნები, ნება-ნება მოძრაობენ საწვიმარი დგანების მქნევარები და წყალს წვიმასავით ფანტავენ.

— ამოვიდა იორი, ძია სიკო, ამოვიდა. „წითლობის" გორიდან ივრის წყალი ჩვენს ვენახებსა რწყავს! გიკვირს განა? — ეკითხება პატარძეულის კოლმეურნეობის აგრონომი გურამ გიუნაშვილი.

— მა საკვირველი არ არი?

— მთვარეზე კაცი ავიდა და ეს გიკვირს! — ეუბნება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს პირველი ჰიდროტექნიკური უბნის უფროსი ხაშმელი გიორგი ბოჭორიძე.

— ჰო, მართლაც. აბა ეს რაღა გასაკვირველია, მაგრამ ჩვენთვინა, პატარძეულელებითვინა, ესა დიდი საქმეა.

— მართო თქვენთვის? ჯერჯერობით პატარძეულელების ოცდაათი ჰექტარი ვენახი მოიარწყვება, — ამბობს წყალმშენის მეხუთე სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი პაპუნა ყოენტი, — გიორგიწმინდის კოლმეურნეობისა და საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ხუთი ათასი ჰექტარიც მოიარწყვება. როცა არხი მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ, მაშინ ივრის წყალი მარტო საგარეჯოს რაიონის 23 ათას ჰექტარ ბაღ-ვენახებსა და მინდორს მოემსახურება. აქედან 650 ჰექტარი დაწვიმების წესით მოირწყვება.

— წნევა მოუმატეთ, — გასძახა ელექტრიკოსებს სატუმბავი სადგურის უფროსმა ვასტანგ უნიფოშვილმა და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, — ჯერჯერობით ერთჯერად ექვსი დასაწვიმებელი დგანი მუშაობს. ჩვენს სადგურს თორმეტი ელექტრომექანიკოსი ემსახურება, რომლებიც სამ ცვლად არიან დაყოფილი. მალე მთელი ძალით ამუშავდება სადგურები და მაშინ ამ 30 ჰექტარ ვენახს არაფერი გაუჭირდება, გვალვა ვერაფერს დააკლებს.

— შარშან ამ ვენახებში ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი ყურძენი მივიღეთ. მომავალში კი ივრის წყლის წყალობით 45-50 ცენტნერსაც აღარ დავჯერდებით, — ამბობს კოლმეურნეობის აგრონომი გურამ გიუნაშვილი.

„ყაზნიაანის" გორაზე ავდგებართ. იქიდან კარგად ჩანს ქვემო სამგორის სათავე ნაგებობის წყალსაცავი. გაღმა რუხი ფერის, უზარმაზარი ნიანგის მსგავსი გორა გაწოლილა. რუხი ფერის ზედაპირი აქა-იქ მწვანე ჯაგებით არის მოხატული. გორაკის თავი ისევ დამრეცილი, თითქოს ნიანგს თავი სილაში წაუყვიაო.

ივრის ორივე ნაპირს სათავე ნაგებობიდან ბეტონის ფილებით მოპირკეთებული მაგისტრალური არხები გამოდის. არხებში წყალი ნელა მიიზლაზნება. ჯერ პატარძეულის, ნინოწმინდის, გიორგწმინდის, მანავისა და საგარეჯოს მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში მიედინება იგი. მომავალ წელს კი რაიონის თითქმის ყველა სოფლის მიწებს ესტუმრება. საგარეჯოს რაიონის ეაკეზე თვითდინებით მოირწყვება მეტი წილი მიწები. სადაც თვითდინებით ვერ მივა იორი, იქ თუთუმეტი წყალსატუმბავი მძლავრი სადგურებით გორაკებზე ადის წყალი და იქიდან ზოგან დაწვიმებით, ზოგან მიშვებით მოირწყვება გამომშრალი მინდვრები.

ივრის მარჯვენა მხარის მაგისტრალურ არხს მივყვებით. წყალს მიწა გაუცოცხლებია. მთელი ივრის ხეობა, მდინარის მარჯვენივაცა და მარცხნივაც, მინდორსაცავ ტყის ზოლებითაა დაქსელილი. ზოლებს შორის უზარმაზარ ფართობებზე რქაწითელის ზვრებია გაშენებული.

ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე მრავლად არის ხალხი. იმ დღეს მკას ამთავრებდნენ. ჩქარობდა კოლმეურნეობის აგრონომი ლევან ბერიძე. პური ღია კალოზეა, არ იწვიმოს და მარცვალი არ დაგვიზიანდესო. ანა სუხიაშვილი და ნინო მეკოშკიმშვილიც ჩქარობენ, როგორ შეიძლება პურის გაფუჭება, ჩვენი ოფლითა და ზრომით მოყვანილია და ერთ მარცვალსაც არ დაგკარგავთო. 700 ჰექტარზე ეთესათ ნინოწმინდელებს პურეული. 90 ტონის მაგივრად 140 ტონა პური მიჰყიდეს სახელმწიფოს. დანარჩენს კოლმეურნეები გაინაწილებენ, სათესლედაც საკმაოდ გადაინახავენ. ანა და ნინო სწორედ სათესლე ხორბალს დასტარაღლებენ. მარცვალსაწმენდ მანქანას ნიჩბებით ხორბალს უმარჯვებენ.

საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის მეხუთე ბრიგადის ვენახები ჩინებულად არის მოვლილი. ხელმარჯვე და უნარიანი კაცია ბრიგადირი შალვა გრატაშვილი. 60 ჰექტარ ვენახს უვლის. ბრიგადამ შარშან 240 ტონა ყურძენი მიიტანა სახელმწიფო მარანში, წელს 260 ტონა იქნებაო, გვითხრა შალვამ და ტრაქტორისტ ვანო ზირაქაშვილს გასძახა, აქეთ წამოიყვანე ტრაქტორი, აი ამ ნაკვეთის თავში გათხარე სარწყავი რუო.

ბრიგადირი თავის სანაქებო მევენახეებს გოგლა ალექსაშვილსა და საბეედო ბადრაშვილს, ახალგაზრდა გრაშა მოძმანაშვილს გვისახელებს და დასძენს, ძალზე მუყაითები არიანო.

ივრის მარცხენა ნაპირზე გადავედით. აქაც ვენახების დიდი მასივებია მოქცეული მინდორსაცავი ტყის ზოლებს შუა. ახლა ქარი და ხორშაკი ვერაფერს აკლებს ვენახებს. ვერხვის ტყის ზოლები იცავენ ზვრებს. ასეა ყველგან. ასეა კაკაბეთის 21-ე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაშიც. დიდი ვენახები აქვთ კაკაბელებს, მაგრამ უფრო მეტი უნდათ. „სოფლტექნიკის" საგარეჯოს განყოფილების ტრაქტორისტები ძმები ამირან და ლადო კუპატაძეები მძლავრი ტრაქტორებით სავენახე მიწას აბრუნებენ. მათ ქვემოთ კი ტრაქტორისტები მიხეილ მეურმიშვილი, ამირან და გურამ ოქრომჭედლიშვილები ვენახის ბოლო წამლობას აწარმოებენ. უხარიათ ბრიგადირ ზაქარია ფილაურსა და მექანიკოს ნიკო ნანობაშვილს, რომ ზვარს ზვარი ემატება, სოფელი ძლიერდება, ოჯახები უ

წინსვლის ციფრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

ყველი* — ათასი ტონა	6	95
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	25	121
მარგარინი — ათასი ტონა	7	119
კარაქი* — ტონა	385	101
მცენარეული ზეთი — ტონა	6944	106
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	44	102
ნატურალური ხარისხოვანი დაფასებული ჩაი — ტონა	9613	106
ყურძნის ღვინო* — ათასი დეკალიტრი	6295	113
შამპანური — ათასი ბოთლი	4517	103
აპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	6	108

1968 წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია მეტი: ქვანახშირი 28 ათასი ტონა, სატვირთო ავტომობილები — 396 ცალი, ქაღალდი — 2,2 ათასი ტონა, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — 11 ათასი კუბური მეტრი.

სახალხო მოხმარების საქონელი წარმოებულია მეტი: შალისა და აბრეშუმის ქსოვილები — 1,7 მილიონი კვადრატული მეტრი, ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი — 804 ათასი ცალი, კონსერვები — 4 მილიონი პირობითი ქილა, ნატურალური ხარისხოვანი დაფასებული ჩაი — 544 ტონა, ყურძნის ღვინო — 734 ათასი დეკალიტრი, მოუხდელი რძის პროდუქცია—654 ტონა.

შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის მრეწველობაში 1968 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 7 პროცენტით.

მოგება მთლიანად სახალხო მეურნეობაში გაიზარდა 1,8 პროცენტით, მრეწველობაში — 3,4 პროცენტით.

ბეჭრმა საწარმომ ვერ შეასრულა მთელ რიგ სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა, აგრეთვე თვითღირებულების გეგმა.

ვერ შესრულდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, სინთეზური ამიაკის, მინერალური სასუქების, კაპროლაქტამის, ქიმიური ბოჭკოს, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამაგისტრალო ელმავლების, ცემენტის, შფერის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, წინდების, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, კარაქისა და მცენარეული ზეთის და ზოგიერთი სხვა პროდუქციის წარმოების წლის პირველი ნახევრის გეგმა.

სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები განაგრძობდნენ მუშაობას თანამედროვე მაღალი წარმოების მანქანებისა და მოწყობილობის შექმნისა და წარმოების ათვისებისათვის; ამოწმაებდნენ და წარმოებაში ნერგავდნენ ტექნოლოგიურ პროცესებს, კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. ათვისებულია ზოგიერთი სახეობის ახალი პროდუქციის წარმოება, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს.

სახალხო მეურნეობაში დაინერგა 6 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც წელიწადზე გადაანგარიშებით გვაძლევს 9 მილიონ მანეთამდე ეკონომიას.

II. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ამინდის რთული პირობების მიუხედავად წარმატებით დაამთავრეს მინდვრის საზაფხულო სამუშაოები, უზრუნველყვეს **საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის** შესრულება.

სიძნელეთა დაძლევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს დახმარებას, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაეწიათ. სახელმწიფომ გამოყო თესლის, საწვავის დამატებითი ფონდები, უზრუნველყო ტექნიკის ვადამდე მიწოდება.

1969 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო კულტურების **ნათესი ფართობები** აღემატება გასული წლის ნათეს ფართობებს **და** ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა 746,4 ათასი ჰექტარი. გადიდდა მარცვლეულის ფართობები.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაიწყეს მოსავლის აღება. ყველგან მიმდინარეობს თიბვა და საკვების დამზადება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა 1141 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 458 ჰექტარი ვენახები, 45 ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავები, 362 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 162 ჰექტარი დაფნის პლანტაციები.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესაბამისი წლის 1 ივლისისათვის შეადგინდა (ათასი სული):

	1968 წელი	1969 წელი
მსხვილფეხა რქიანია პირუტყვი	647,9	617,2
მათ შორის ძროხა და ფურ-კამეჩი	171,2	164,9
ღორი	208,1	200,1
ცხვარი და თხა	1802,9	1410,0
ფრინველი	3154,6	3252,4

გაიზარდა ძროხების პროდუქტიულობა. რძის საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე 6 პროცენტით გაიზარდა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წლის პირველი ნახევარი 1968 წელი	1969 წელი
ხორცი (დაკლული წონა) — ათასი ტონა	13,0	13,7
რძე — ათასი ტონა	106,0	106,4
კვერცხი — მილიონი ცალი	64,4	70,6

მეცხოველეობის პროდუქტების **სახელმწიფო შესყიდვამ** ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	წლის პირველი ნახევარი 1968 წელი	1969 წელი
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა)— ათასი ტონა	23,2	24,0
რძე — ათასი ტონა	874,6	845,0
კვერცხი — მილიონი ცალი	74,3	76,5
მატყლი — ათასი ცენტნერი	24,7	22,3

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 114 პროცენტით, რძისა — 106 პროცენტით, კვერცხისა — 105 პროცენტით, მატყლისა — 101 პროცენტით. რეს-პუბლიკის თითქმის ყველა რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა. მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაწილმა მთლიანად ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა.

კვლავ მტკიცდებოდა **სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.** 1969 წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობამ მიიღო: 1378 ტრაქტორი — ფიზიკური ერთეული, 842 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 16 მარცვალსალები კომბაინი, 1247 ტრაქტორის გუთანი, 469 სათესი მანქანა, 382 კულტივატორი, 154 საოშავი მანქანა, 500 სათიბი მანქანა, 55 უნივერსალური სატვირთავი, 77 დასაწმენდელი მანქანა, 173 მინერალური სასუქის მომბნევი, 27 ჰერბიციდ-ამიაკის მანქანა.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 214 ათასი ტონა მინერალური სასუქები.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთების გაგზავნის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, აქედან ქვანახშირის გაგზავნისა — 108 პროცენტით, ნავთობის ტვირთებისა — 120 პროცენტით, შავი ლითონებისა — 95 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 109 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 82 პროცენტით.

ვაგონების საშუალო სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით; ერთი სატვირთო ოპერაციისათვის ვაგონების მოცდენის საშუალო დრო შემცირდა 4 პროცენტით, სატვირთო ვაგონების ბრუნვის საშუალო დრო — 5 პროცენტით. მაგრამ ვერ შესრულდა ვაგონების საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის, სატვირთო მატარებლის საშუალო საუბნო სიჩქარის გეგმა; გაიზარდა ერთ ტექნიკურ სადგურზე ვაგონების მოცდენის საშუალო დრო.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტმა** 1969 წლის პირველ ნახევარში გადაიტანა 39 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთები, ამასთან გაიარა 537 მილიონი ტონა-კილომეტრი. ტვირთზიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 100.7 პროცენტით. 1968 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთზიდვა გადიდდა 6 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 8 პროცენტით.

წლის პირველ ნახევარში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებმა გადაიყვანეს 206 მილიონი მგზავრი და გაიარეს 1,6 მილიარდზე მეტი მგზავრ-კილომეტრი. მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 94 პროცენტით. 1968 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრთა გადაყვანა შემცირდა 4 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 0,3 პროცენტით.

მსუბუქი ტაქსმოტორების ფასიანი გარბენის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით. 1968 წლის პირველ ნახევართან შედარებით მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 6 პროცენტით გაიზარდა.

თბილისის მეტროპოლიტენმა ნახევარ წელიწადში გადაიყვანა 34,2 მილიონი მგზავრი, ანუ 1968 წლის შესაბამის პერიოდზე 16 პროცენტით მეტი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიული სამმართველოს **საჰაერო ტრანსპორტმა** წლის პირველ ნახევარში გადაიყვანა 603 ათასი მგზავრი და გაიარა 696 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. 1968 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ავიატრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა გადიდდა 9 პროცენტით, მგზავრბრუნვა 17 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის 1969 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულდა 95 პროცენტით, მგზავრბრუნვისა — 105 პროცენტით.

საავტომობილო გზების სამინისტრომ საავტომობილო გზების (გარდა ადგილობრივი გზებისა) შეკეთების ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 93 პროცენტით, აქედან კაპიტალური რემონტისა — 88 პროცენტით, საშუალო რემონტისა — 122 პროცენტით.

საქართველოს სსრ **კავშირგაბმულობის სამინისტრომ** წლის პირველი ნახევრის შემოსავლის გეგმა შეასრულა 97 პროცენტით, აქედან საფოსტო კავშირგაბმულობაში — 97 პროცენტით, სატელეგრაფო კავშირგაბმულობაში — 100.8 პროცენტით, საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობაში — 99 პროცენტით, რადიოფიკაციაში — 92 პროცენტით.

წლის პირველ ნახევარში გაიხსნა კავშირგაბმულობის 20 ახალი განყოფილება და სოფლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 ავტომატური ტელეფონის სადგური.

IV. კაპიტალური მშენებლობა

განვლილ ნახევარ წელიწადში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების თანხებით ამოქმედდა 106 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები.

ამუშავდა ახალი სიმძლავრეები: სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები — 1106 კილომეტრი, ნავთობტევადობანი — 1,5 ათასი კუბური მეტრი, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოებისა — 60 ათასი კუბური მეტრი, ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების წარმოებისა — 113 ტონა, ტრიკოტაჟის ნაწარმის, მაცივრების წარმოებისა, სარწყავი სისტემები, მეცხოველეობის სადგომები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ფრინველისათვის და სხვ.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულმა კაპიტალურმა დაბანდებებმა შეადგინა 284 მილიონი მანეთი, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებმა — 168 მილიონი მანეთი. 1968 წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გაიზარდა ერთი პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 2 პროცენტით.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვმა სახალხო მეურნეობაში გასული ნახევარი წლის მანძილზე შეადგინა საშუალოდ 1400 ათასი კაცი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 4 პროცენტით გადიდდა.

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 4 პროცენტით. **კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება** გაიზარდა 6 პროცენტით.

1969 წელს ხელფასი გამატებით [illegible] კატეგორიათა მუშაკებს, რომლებიც დასაქმებულნი [illegible] და სარემონტო-სამშენებლო-სამეშაოებზე, [illegible] მრეწველობის საწარმოთა [illegible].

მოსახლეობის ანაბრები შენახულ სალაროებში 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 33,9 მილიონი მანეთით.

საბელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ წლის პირველ ნახევარში შეადგინა 963 მილიონი მანეთი და გადიდდა, შესადარ ფასებში, 8,4 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა **შესრულებულია 99,7 პროცენტით.**

ცალკეული საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	1969 წლის I ნახევარში გაყიდულია პროცენტებით 1968 წლის I ნახევართან შედარებით
ხორცი და ხორცის პროდუქტები	100
კარაქი	105
მცენარეული ზეთი	108
რძე და რძის პროდუქტები	108
ყველი	112
კვერცხი	113
შაქარი	109
საკონდიტრო ნაწარმი	104
კარტოფილი	96
ბოსტნეული	105
ბამბის ქსოვილები	99
შალეული	104
აბრეშუმის ქსოვილები	97
შეკერილი საქონელი	110
ტრიკოტაჟის ნაწარმი	113
წინდა	101
ტყავის ფეხსაცმელი	113
ავეჯი	99,7
საათები	109
ელექტროსაქონელი	113
სპორტული საქონელი	115
რადიოსაქონელი	109

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დიდი ოდენობით ბორკიელდებოდა ხანძარი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. სახელმწიფო სახსრებით და ხანძარ-სამშენებლო კოოპერატივების სახსრებით წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 190 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მწყობრში ჩადგა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 1019 მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი — 900 ბავშვისათვის.

იზრდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაცია 1968 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 19 პროცენტით, აქედან ქალაქად — 17 პროცენტით, სოფლად 25 პროცენტით.

განვლილ ნახევარ წელიწადში გაძლეგებოდა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები. ბორკიელდებოდა საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის სამუშაოები, ნახევარი წლის განმავლობაში გაზიფიცირებულია 42 ათასამდე ბინა, აქედან ქსელის გაზით — 8 ათასზე მეტი ბინა.

კვლავ უმჯობესდებოდა მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარება. ფართოვდებოდა საავადმყოფოების, დისპანსერების, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა ქსელი; გაიზარდა საწოლების რიცხვი რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში.

მიღწეულია შემდგომი წარმატებები სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია ერთ მილიონ ორასი ათასზე მეტი კაცი, აქედან 971 ათასზე მეტი სწავლობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მათ შორის დაახლოებით 54 ათასი —მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

1969 წელს რვაწლიანი სკოლა დაამთავრა 84 ათასამდე ბავშვმა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — 57 ათასზე მეტმა; მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში საშუალო განათლება მიიღო 10 ათასზე მეტმა კაცმა.

მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობაში იგზავნება **22 ათასზე** მეტი სპეციალისტი, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, მათ შორის 11 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი და დაახლოებით 11 ათასი საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. გასულ წელთან შედარებით უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა გაადიდეს გამოშვება 2.112 კაცით, ანუ 10,4 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმი

ბერლინი, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს ბერლინში გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი. პლენუმი გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა, იუწყება ადნ-ის სააგენტო.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო „მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შესახებ" გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გერმან აქსენმა.

დღის წესრიგის მეორე პუნქტზე საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვილი შტოფმა.

ბოლოდ

ფაქტები

⊙ **დელი,** 30 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატამ გუშინ პირველი კითხვით მოიწონა მთავრობის კანონპროექტი ინდოეთის „უდიდესი კერძო ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ.

⊙ **ბუქარესტი,** 30 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ რუმინულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 52-ე და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის 30-ე ტომი.

⊙ **პრაღა,** 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის ეკონომიური სხდომა, რომელიც ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ვალეშის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

სხდომაზე განიხილეს მასალები, რომლებიც ეხება უახლოეს წლებში ეკონომიური რეფორმის განხორციელებას, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

⊙ **სოფია.** ბულგარეთი წარმატებით ავითარებს თევზის რეწვას ოკეანეში. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიქმნა დიდი სატრალერო ფლოტი. თევზს იჭერენ სამხრეთ-დასავლეთ ატლანტიკის, კანარის კუნძულებისა და აღმოსავლეთ კანადის ნაპირებთან.

იზრდება საფრანგეთის კომპარტიის რიგები

პარიზი, 29 ივლისი, (საკდესი). 7.000 ფრანგმა მიიღო მონაწილეობა დღესასწაულში, რომელიც ლა ლეიმი მოაწყო საფრანგეთის კომპარტიის ქვემო ალპების დეპარტამენტის აღგილობრივმა განყოფილებამ და ყოველდღიურმა გაზეთმა „მარსეიეზმა".

მიტინგზე გამოვიდა **საფრანგეთის** კომპარტიის **პოლიტბიუროს** წევრი როლან ლერუა.

დღესასწაულის დროს საფრანგეთის კომპარტიის რიგებში შევიდა 26 ახალი წევრი.

ნეონაცისტთა რეაბილიტაცია

ბონი, 29 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვინოგრადოვი გვატყობინებს:

ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ფონ ჰასელმა მიუსხენში ჟურნალისტთა წინაშე განაცხადა, ნაციონალ-დემოკრატიული პარტია „ნეონაცისტური პარტია არ არისო". მისი თქმით, ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში „არიან მთელი რიგი ღირსეული ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ წესრიგის დამყარებისათვის". ფონ ჰასელმა განაცხადა, რომ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის აკრძალვის წინააღმდეგია.

საერთაშორისო ხროვრება

პრაღ პარტიზანთა მოქმედება

ბეირუთი, 29 ივლისი. (საკდესი). 27 ივლისს „ფათჰის" ორგანიზაციის პარტიზანებმა აიფეთქეს მავთულხლართები ისრაელთა უმ სიდრის სამხედრო დასახლების გარშემო. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ პალესტინის გაერთიანებული სარდლობის კომუნიკეში.

ამ ორგანიზაციის მეორე პარტიზანულმა რაზმმა ისრაელის პარტიულს შეუტია იორდანიის ხეობის ჩრდილოეთით და მოსპო ექვსი ისრაელი ჯარისკაცი.

ზეთუნნის რაიონში, აშდოტ იაკობის სამხრეთით ისრაელის ბანაკისათვის არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის დაშენის შედეგად პარტიზანებმა მოსპეს რამდენიმე ბეტონმანქანა, რომლებშიც მოწინააღმდეგის ჯარისკაცები იყვნენ. თურქმანის რაიონში დაანგრიეს ისრაელთა ჯარების რამდენიმე სამეთვალყურეო საგუშაგო.

სალვადორის მინისტრის განცხადება

ვაშინგტონი, 30 ივლისი. (საკდესი). სალვადორმა გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა თავისი ჯარები გაიყვანოს ჰონდურასიდან. ეს განაცხადა სალვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანსისკო ხოსე გერერომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგანგებო სხდომის შემდეგ.

როგორც ამერიკის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, სალვადორი იძულებულია ეს განახორციელოს, რადგან ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია დაუმუქრა, რომ გამოაცხადებს აგრესორად და მის წინააღმდეგ გამოიყენებს ეკონომიურ და დიპლომატიურ სანქციებს.

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ჰანოი, 29 ივლისი (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებული ძალების „ქვეგანაყოფებს იერიში მიაქვთ ამერიკა-საიგონის ჯარების პოზიციებზე და არტილერიის ცეცხლს უშენენ დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტებს — აეროდრომებს, საბაზო ბანაკებს, სამხედრო საწყობებს. ინფი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდ ზარალს აყენებენ აგრესორებსა და მათს სატელიტებს.

750-ზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი გამოიყვანეს მწყობრიდან სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა თხზაუმოტის პროვინციაში საბრძოლო მოქმედების დროს 15-დან 20 ივლისამდე. გარდა ამისა, როგორც იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც ამოწმებს განთავისუფლების პრესის სააგენტოს, პატრიოტებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 160-ზე მეტი სამხედრო მანქანა, ჩაძირეს 8 სამხედრო გემი და ჩამოაგდეს 4 თვითმფრინავი.

16 ივლისს ღამით სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა იერიში მიიტანეს ბინ-დინის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრზე. წარმატებით შესრულებული ოპერაციის შედეგად პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 120-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა.

— მე ვფიქრობ, რომ ეს არც თუ კარგი საშუალებაა ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გამოყვანისათვის.

ნახატი ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილიდან".

ნიქსონი ტაილანდსა და საიგონში

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომელიც აზიის ქვეყნებში მოგზაურობს, დღეს ბანგკოკიდან საიგონში ჩავიდა. ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტი სამხრეთ ვიეტნამში თეთრი სახლის მიერ გამოცხადებული მოგზაურობის პროგრამით არ იყო გათვალისწინებული.

საიგონში განახორციელეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უშიშროების უზრუნველყოფის სასტიკი ღონისძიებანი. ფეხზე დააყენეს მთელი პოლიცია — 8 ათასი კაცი. იგი გაძლიერებულია პარაშუტისტთა რაზმებით.

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომელიც აზიის ქვეყნებში მოგზაურობს, „დაიცვან მათი სიცოცხლე და ქონება". ერთ-ერთ ასეთ წერილში ქალაქ დუნჰენის რაიონის მცხოვრებლები ჩივიან, რომ იმ დროს, როცა ისინი შეკრიბეს „მოს იდეების შემსწავლელ კურსებზე" სამეცადინოდ, ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ მათს სახლებს და გაიტაცეს ზამთრის ტანსაცმელი და სასურსათო ბარათები.

(საკდესი, 29 ივლისი).

ჩინეთის ამბები

პეკინში დიდი ხმაურით აღინიშნება „ცინხუას" პოლიტექნიკური ინსტიტუტში „წესრიგის დასამყარებლად „მაო ძე-დუნის იდეების პროპაგანდის პირველი საარმო რაზმის" გაგზავნის წლისთავი. ქალაქში გამოკრულია ლოზუნგები, რომლებიც მიესალმებიან ამ თარიღს, პრესა ბევრ სტატიას უძღვნის მას. ვრცელ სტატიაში, რომელიც 28 ივლისს გადასცეს, სინხუას საააგენტო მკითხველებს მოაგონებს ამ ამბის ისტორიას, რომელმაც, როგორც ის აღნიშნავს, „ახალი ერა დაიწყო" ჩინეთისათვის.

„კულტურული რევოლუციის" დასაწყისში „ცინხუას" ინსტიტუტის ხუნვეიბინები მუსრავდნენ „ლიუ შაო-ცის აგენტებსა" და მაო ძე-დუნის სხვა მოწინააღმდეგეებს, მკაცრად იცავდნენ რა მაო შტაბის მითითებებს. მაგრამ შემდეგ სტუდენტთა და მასწავლებელთა ნაწილი მოექცა რევიზიონისტული იდეებისა და პოლიცენტრიზმის თეორიის გავლენის ქვეშ, ანუ უარი თქვა ბრმად შეესრულებინა მაოს მითითებანი.

და აი მაშინ, გასული წლის 27 ივლისს, მაოს მოთხოვნით „ცინხუას" ინსტიტუტი ჯარისკაცებმა დაიკავეს. იდეოლოგიური შენიღბვისთვის რაზმში შეიყვანეს რამდენიმე მუშა, მაგრამ ყველაფერს საშხედროები წყვეტდნენ. მას შემდეგ ყველა სასწავლებელი, ყველა დაწესებულება, რომელიც დაკავშირებული იყო განათლებასთან, მეცნიერებასა და იდეოლოგიურ მუშაობასთან, არმიის რაზმების კონტროლს დაუქვემდებარეს.

თუ როგორ ახორციელებდნენ ეს რაზმები თავის მთავარ ამოცანას — „მაოს იდეების სულისკვეთებით ინტელიგენციის გარდაქმნას", ჩანს გუანჯოუში ჯუანშანის სამედიცინო ინსტიტუტში დაბინავებული რაზმის გამოცდილებიდან. გაზეთი „უენმინ ყიბაო" იუწყება, რომ ჯარისკაცები ამ ინსტიტუტში ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში გაგზავნეს. მათ მაშინვე დაახარისხეს სტუდენტები და მასწავლებლები და გაგზავნეს ისინი სოფლად 112 საწარმოო ბრიგადაში, სადაც ისინი იცხოვრებდნენ ღარიბთა სახლებში მაძთან ერთად იმუშავებდნენ, ისწავლიდნენ, ჭამდნენ, ეძინებდნენ და გააკრიტიკებდნენ რევიზიონიზმს. მოკლედ რომ ვთქვათ, ინსტიტუტი დაარბიეს.

„აი ასე მთლიანად მოვსპეთ ერთ ადგილას ინტელიგენციის ეს ბოლვა", — აღტაცებით აღნიშნავს მაოისტთა გაზეთი.

გუიჯოუსა და სხვა პროვინციების მოსახლეობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ იქ „არეულობა" და „აფორიაქებაა", რაშიც ბრალს ხდებენ ადგილობრივ ადმინისტრაციას.

პროვინციის მცხოვრებლები ჩივიან, რომ მათ ძარცვავენ, ხოლო ხალხსამართლებრივი დანაშაულობანი სრულიად არ ისჯება. „კულტურული რევოლუციის" დასაწყისშივე მაოისტებმა ხაზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოები გამოიყენეს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დასათრგუნად. ბევრი სასამართლო ორგანო დაიხურა, პროკურატურა პრაქტიკულად უმოქმედოდაა. ასეთ პირობებში მთელ ქვეყანაში სწრაფად იზრდება დამნაშავეობა.

ცნობები სისხლისსამართლებრივ დანაშაულებათა ზრდის შესახებ იბეჭდება არა მარტო ადგილობრივი, არამედ პეკინის პრესის ფურცლებზეც: გაზეთი „ბეიძინ გუნუენი" ამ ბოლო დღეებში ბეჭდავს პეკინის მცხოვრებთა წერილებს, რომლებიც ითხოვენ „დაიცვან მათი სიცოცხლე და ქონება". ერთ-ერთ ასეთ წერილში ქალაქ დუნჰენის რაიონის მცხოვრებლები ჩივიან, რომ იმ დროს, როცა ისინი შეკრიბეს „მაოს იდეების შემსწავლელ კურსებზე" სამეცადინოდ, ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ მათს სახლებს და გაიტაცეს ზამთრის ტანსაცმელი და სასურსათო ბარათები.

აუდიტორიებში — მხოლოდ ღირსეულნი!

• ჩვენი ინტერვიუ •

კიდევ ერთი დღე, და ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში დაიწყება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი — მისაღები გამოცდები. მიმღებ და საგამოცდო კომისიებში შეკრებილი არიან უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების გამოცდილი მასწავლებლები, ფაკულტეტების დეკანები, პრორექტორები სასწავლო და სამეცნიერო ნაწილში, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ე. მამალაძე ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილეს ამზ. გ. დოლიძეს და სთხოვა მოეთხრო იმაზე, თუ როგორ მოემზადნენ უმაღლესი სასწავლებლები მისაღები გამოცდებისათვის.

ი ი რა განაცხადა მან:

— ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები წელს მიიღებენ 13.100 ახალგაზრდას, მათ შორის დღის განყოფილებაზე 7.075, საღამოს განყოფილებაზე 3.080, დაუსწრებელ სწავლებაზე — 2.945-ს. გასულ წელთან შედარებით დღის განყოფილებაზე მიღებული იქნება 450 კაცით მეტი.

დიდძალი ახალგაზრდობა — 14.950 კაცი წავა საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში. წელს პირველად იწყებს მუშაობას საშუალო ტექნიკური სასწავლებელი — თბილისში — ნავთობისა და გაზის, კახეთში — ინდუსტრიული და ქარელში ელექტრომექანიკური ტექნიკუმები.

სწრაფი სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი განაპირობებს მეცნიერებისა და მრეწველობის ახალი დარგებისათვის მზარდ მოთხოვნილებას კადრებზე. ამ მიზნით ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი მიიღებს ახალგაზრდებს ახალ სპეციალობებში. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი სასწავლო წლიდან დაიწყებს გამოყენებითი მათემატიკის, პოლიტეკონომიის, მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სპეციალისტთა მომზადებას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი კი მრავალარხიანი ავტომატური ელექტროკავშირის, რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის სპეციალისტთა მომზადებას.

სტაჟიანებსა და უსტაჟო აბიტურიენტებს შორის ადგილები ნაწილდება შემოსული განცხადებების პროპორციულად. ამასთან ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სულ ცოტა 2 წლის საწარმოო სტაჟი აქვთ.

მნიშვნელოვანი უპირატესობით ისარგებლებენ აგრეთვე საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები. დაუსწრებელ და საღამოს სწავლებაზე ისინი მიღებულ დროს უთანაბრდებიან პროფილით მომუშავეებს, ხოლო დღის განყოფილებაზე საწარმოო სტაჟის მქონე აბიტურიენტებს. ასეთი უპირატესობით სარგებლობს აბიტურიენტი დემობილიზაციიდან სამი წლის განმავლობაში.

ჩარიცხვის დროს აუცილებლად უპირატესობა მიეცემა სოფლის ახალგაზრდობას — ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ვინც, მუდმივად ცხოვრობს სოფელში.

იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა ვერცხლის მედლები, ზოგიერთი ფიქრობს, რომ მათი ადგილი თითქოს დაიკავეს იმ აბიტურიენტებმა, რომლებმაც საშუალო სკოლები დაამთავრეს ქების სიგელებით. ქების სიგელის მქონე ახალგაზრდა აბარებს გთავალისწინებულ ყველა საგანს და უპირატესობა ეძლევა მხოლოდ ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში.

წელს გაცილებით უკეთ არის ორგანიზებული საბუთების მიღება. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საბუთებს იღებს ფაკულტეტების მიხედვით, უნივერსიტეტი საბუთებს იღებს და მისაღებ გამოცდებს აწყობს ახალ კორპუსში საბურთალოზე. ყველგან მიმდინარეობს გასაუბრებები. ცხრილი შედგენილია იმის გათვალისწინებით, რომ აბიტურიენტს უქმად არ დაეკარგოს დრო. უმრავლეს უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია ცნობათა ბიუროები, სარჩევებისა და პრეტენზიების კომისიები, ისე რომ ყველა სადავო საკითხი სწრაფად გადაიჭრება ადგილზე. ვიზრუნეთ ჩამოსულ აბიტურიენტთა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის.

სიახლე გამოცდებში? — წელს მიღების წესები ძირითადად იგივეა, არ განსხვავდება შარშანდელისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბიოლოგიაში, ისტორიაში, ფიზიკაში, ქიმიაში გამოცდა ზოგ უმაღლეს სასწავლებელში წერით მოეწყობა.

სოფლის ახალგაზრდობის მოზიდვის მიზნით ზოგიერთი დაშორებული მაღალმთიანი რაიონებისათვის გამოიყო ადგილები უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე ჩასარიცხავად. კომკავშირული საგზურებით ჩარიცხება აგრეთვე სოფლის 160 კომკავშირელი.

ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ წარსული წლების მისაღები გამოცდების გამოცდილება და შევეცადეთ მომავალი საკონკურსო გამოცდები ისე მოგვეწყო, რომ მაქსიმალურად იქნას დაცული მიღების ინსტრუქცია, სრულად გამოვლინდეს თვითეული აბიტურიენტის ცოდნა, უნარი და ნიჭი, მიდრეკილება არჩეული სპეციალობისადმი.



ცისფერი კონტინენტის მკვლევარნი



სანაპირო კლდეებთან წყლიდან ჩნდებიან უცნაური თავები, ოვალური ნიღბებით დაფარული სახეები. რამდენიმე წამის შემდეგ ტანადი, ბრინჯაოსფერი ქალიშვილები და ჭაბუკები უკვე გამოდიან პლაჟზე და გზადაგზა იხსნიან აკვალანგებს.

წყალქვეშა ცურვა სპორტის ყველაზე ახალი სახეობაა ჩვენს ქვეყანაში. მისი პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება.

50-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მეცადინეობს სოხუმის საზღვაო კლუბის წყალქვეშა სპორტის სექციაში. რამდენიმე წლის განმავლობაში აქ მოამზადეს ათასამდე სპორტსმენი-თანრიგოსანი. კლუბის წარმომადგენელი ვლადიმერ ჭანტურია — საქართველოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონია წყალქვეშა სპორტში. ვლადიმერი და მისი ამხანაგები — ივანე ტიომნი და ოლეგ მომინტი დაიცავენ რესპუბლიკის სახელს საკავშირო პირველობაზე წყალქვეშა ორიენტირებაში, რომელიც შედგება ალუშტაში.

საქართველოს 1969 წლის ჩემპიონი ვიქტორ კონონოვი, ვლადიმერ ზდობინი და ევგენი სიდელნიკოვი აგვისტოში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის პირველობაში წყალქვეშა ჩქაროსნულ ცურვაში, რაც კიევში გაიმართება.

წყალქვეშა მცურავთა მოქმედების სფერო არ ამოიწურება მხოლოდ ვარჯიშითა და შეჯიბრებებში მონაწილეობით. ისინი არქეოლოგების, ჰიდროტექნიკოსების, გეოლოგების, იხტიოლოგების სასურველი თანამშრომლები არიან...

ეს რამდენიმე ფოტოსიუჟეტი მოგვითხრობს ცისფერი კონტინენტის სოხუმელ მკლევართა ერთ დღეზე.

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — სოხუმის საზღვაო კლუბის მწვრთნელი ვ. ცანავა — წყალქვეშ მცურავებს მორიგ დავალებას აძლევს; ე. დანელია, ნ. შაროვა და ნ. სერგეევა წყლიდან ამოვიდნენ სანაპირო კლდეებთან (ზემოთ მარჯვნივ); პირველთანრიგოსანი ნ. კეკელაშვილი წყალქვეშა ორიენტაციისთვის ემზადება, (ქვემოთ მარცხნივ); იღლიანი ნადირობის შემდეგ.

ა. ვიგნანსკი.

ფოტო ბ. კიკვიძისა და ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ცხრათვალა მგის ქვეშ

ახალი წიგნები •

ჩვენი საუკუნე მეცნიერების საუკუნეა და ამდენადაც განუზომელია მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის სასარგებლოობა.

ლენინი წერდა — მატერიალისტური დიალექტიკა უნდა გამდიდრდეს ბუნების შესახებ მეცნიერების მთელი წინამორბედი ისტორიული განვითარების ფილოსოფიურად გააზრებული და ლოგიკურად დამუშავებული და განზოგადებული შედეგებითო. გენიური მიუთითებდა — უნდა გავარკვიოთ როგორ იბადება უცოდინარობისაგან ცოდნა, როგორ ხდება არასრული და არაზუსტი ცოდნა უფრო სრული და უფრო ზუსტი.

აზიაროს ადამიანი მეცნიერული კვლევის არა მარტო მზამზარეულ საბოლოო შედეგს, არამედ უწვენოს ამ შედეგის მიღწევისათვის ადამიანის სულის წვა, ძიების მთელი ჯაჭვი, გონების მუშაობის მთელი პროცესი, ესე იგი უზეკნოს მეცნიერება განვითარებაში, — ეს არის მეცნიერულ-პოპულარული წიგნის ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულება.

სამეცნიერო ძიებათა პრაქტიკული ნაყოფი ხომ კარგია, მაგრამ უფრო კარგია ამ ნაყოფამდე მისვლა ძიებით. მეცნიერულ-პოპულარულმა წიგნმა კარი ფართოდ უნდა გაუღოს მკითხველს სამყაროს შესაცნობად, ლაღად გადაუშალოს ფართო სურათი სამყაროსი, რომლის ბუნებრივ და გარდუვალ ნაწილსაც თვითონ წარმოადგენს.

ეს რომ ასეა, იმ განუზომელი ინტერესითაც დასტურდება, რასაც მკითხველი, კერძოდ ახალგაზრდობა იჩენს ლიტერატურის ამ ჟანრის მიმართ. და ამნაირი ლიტერატურის უფრო კეთილშობილური დანიშნულება სხვა არა არის რა, თუ არა ახალგაზრდობის მიზიდვა, მისი გატაცება ძიებით. ამ შემთხვევაში ახალგაზრდობისათვის მეცნიერების ძიებითი მხარე უფრო რომანტიკული და მიმზიდველია, ვიდრე ამ მეცნიერული ძიების საბოლოო შედეგი.

თუ ამ ასპექტით განვიხილავთ ნიკო კეცხოველის წიგნს „ცხრათვალა მზის ქვეშ", იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მეცნიერულ-პოპულარული წიგნი სასურველია იყოს სწორედ ასეთი, უკეთესს, ცხადია, წინ რა ეღობება!

ამ წიგნის წარმატებას ისიც განსაზღვრავს, რომ დამამცემლობა „ნაკადულს" სწორი მისამართითა წარუმართავს იგი — მოსწავლე ახალგაზრდობა ბევრ მისი მკითხველთა აუდიტორია, და ფრიად ფართო აუდიტორია.

აი ნამდვილი ბედნიერი გამონაკლისი ავტორობისა! წერს მეცნიერი, არა, კი არ წერს, პირდაპირ სულითა და გულით გვესაუბრება იმაზე, რაც მან ღრმად იცის, წერს არა „სხვის", არამედ „საკუთარ" მეცნიერებაზე — ბუნებისმცოდნეობაზე და, ამასთან, წერს, გვიამბობს არა მხოლოდ მეცნიერი, არამედ მწერალ-მეცნიერი. წერს და მოგვითხრობს ლაღი, ძარღვიანი დედა-ქართულითა. ხატოვანი თქმები, უზვად გამოყენებული სახეები, შედარებები და ანალოგიები, ღრმა ისტორიული ექსკურსები და მაგალითები მომიჯნავე მეცნიერებებიდან, მდიდარი და დასამახსოვრებელი პარალელები ჩვენი ბუნების მორეულ წარსულსა და დღევანდელობას შორის, და ყოველივე ამის ერთ ამბავში, ერთ მოთხრობაში მოქცევა, — აი, რა მიგვაჩნია ბედნიერ გამონაკლისად ჩვენს საბავშვო და საყმაწვილო მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურაში.

მთელ წიგნში წითელ ზოლად არის გავლებული განუზომელი სიყვარული სამშობლოსადმი, ჩვენი ქართული ფლორისა და ფაუნისადმი. კითხულობ ამ წიგნს და ხელს იღებ თვით ყველაზე რეალურ შესაძლებლობაზე — რომელიმე ტურისტული საგზურით იმოგზაურო სხვის ქვეყანაში, და სურვილი გეუფლება — ახლავე ჩაეწერო წიგნის მთავარი პერსონაჟის — გიორგის სამეცნიერო ექსპედიციაში, და ბეჯით მოსწავლეებთან ერეკლესთან და ვახტანგთან, პაპა პავლესთან და სხვებთან ერთად, გაუდგეს გზას და მოვლო შენი სამშობლო მხარე, დაუკვირდე და შეისწავლო მისი ბუნება.

და არც შემცდარა მეცნიერი-მწერალი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, როცა „ცხრათვალა მზის ქვეშ" იმ ციკლისათვის მიუკუთვნებია, რომელსაც მან „ჩვენი სამშობლო" უწოდა. მკითხველი უკვე იცნობს ამ ციკლიდან გამოქვეყნებულ წიგნებს „თოლიან მთებში", „ხუთი მდინარის სათავეში", „კაჟრუკის მაძიებელნი".

მეცნიერ-ბოტანიკოსის აკადემიკოს ნიკო კეცხოველის სახელი ჩვენი მოზარდი თაობისათვის იმითაც არის ძვირფასი, რომ იგი ჩინებულად ემსახურება მხატვრულ სიტყვას. მეცნიერ-მწერლის მოთხრობები დიდი ხანია შეიყვარეს ქართველმა მოსწავლეებმა. ავტორი პოპულარულად, მხატვრული ენით, საინტერესო თხრობის მეშვეობით ამოგზაურებს ნორჩ მკითხველს ჩვენი მშობლიური საქართველოს მთასა და ბარში, აცნობს, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მაღლიან, მდიდარ და მრავალფეროვან არე-მიდამოს. მკითხველი, ავტორის საინტერესო თხრობით, მოიკლის სამგორსა და გარეჯს, ალამდარასა და შირაქს, ალაზნის ველსა და მცხეთას, გომარეთსა და კლდეკარს, ძველ ნაქალაქარებსა და ნამოსახლარებს, გაეცნობა მრავალი სახის მცენარეს.

წიგნს, რომელიც უხვად არის დასურათებული, აქვს თავისი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება. ეს არის მოთხრობა მეცნიერისა ჩვენს მიწა-წყალზე, მის ფლორასა და ფაუნაზე, მის ისტორიულ სიძველეებსა და დიდებულ აწმყოზე.

წიგნი ლამაზად გამოუცია „ნაკადულს" (რედაქტორი ნ. ჩირაძე, მხატვარი ა. გახარია, მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე). დასანანია მხოლოდ, რომ შიდა ილუსტრაციების ბეჭდვის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, ისინი მეტწილად ბუნდოვანი და მკრთალია.

ნიკო კეცხოველის წიგნი „ცხრათვალა მზის ქვეშ" კარგი საჩუქარია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. მას სიამოვნებით წაიკითხავს ყველა.

ვ. თორდუა.

ნაპირ-ნაპირი

„რას" ეკიპაჟი ნიუ-იორკში

ტურ ჰეიერდალის ოპტიმიზმი

ნიუ-იორკი, 30 იელისი. (საქდეს). ცნობილი ნორვეგიელი მოგზაური და მკვლევარი ტურ ჰეიერდალი, აგრეთვე პაპირუსის გემის „რას" ეკიპაჟის ექვსი სხვა წევრი, ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ.

ჰეიერდალმა კორესპონდენტებს განუცხადა: პაპირუსისაგან დამზადებული გემით ატლანტის ოკეანის გადაცურვის ცდა მიზნად ისახავდა იმის დამტკიცებას, რომ ძველ ეგვიპტელებს შეძლოთ ამერიკის კონტინენტზე მისვლა კოლუმბამდე დიდი ხნით ადრე, სამწუხაროდ, თქვა მოგზაურმა, ცდა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა: კუნძულ ბარბადოსის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 500 მილზე გემის მდგომარეობა მეტად გაუარესდა, რამაც საფრთხე შეუქმნა ეკიპაჟის წევრთა სიცოცხლეს.

შვიდი ტყუპი — ერთ სკოლაში

ეს თოთხმეტი გოგონა და ბიჭი — შვიდ-შვიდი ტყუპი დები და ძმები — ინგლისის პატარა სოფლის აივენ-ჰილის ერთ სკოლაში სწავლობენ. სურათი ამოღებულია ფრანგულ „ლუმანიტედან".

ალმის აღმართვამდე

პროფკავშირთა წლევანდელი სპარტაკიადა, რაცხვით მეცხრე, გამოირჩევა არა მარტო მასობრივობით და შეჯიბრების პროგრამის მრავალმხრივობით, არამედ ასპარეზობათა გეოგრაფიითაც. საკმარისია ითქვას, რომ ეს შეჯიბრება მოეწყობა 14 ქალაქში.

მართალია, სპარტაკიადის საზეიმოდ გახსნამდე მოსკოვში ჯერ კიდევ ათი დღე დარჩა, მაგრამ ფინალური ასპარეზობები ადრე დაიწყო და ზოგან შეჯიბრების ალამიც კი დაუშვეს. ასეთთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ფიზკულტურული კოლექტივების ფინალური შეხვედრები ვოლგოგრადში, რომელიც რვა დღეს გრძელდებოდა 1.200 სპორტსმენის მონაწილეობით.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმ კოლექტივებსა და ცალკეულ სპორტსმენებზე, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს ძალოსნობაში, ველოსპორტში, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში. უკანასკნელად პაექრობა ჰქონდათ მცურავებს. წარმატებით გამოვიდა მოსკოვის ლოხანოვის სახელობის ავტოქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელმაც სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ვოლგოგრადის ჰიდრომშენებლებისა და ტაშკენტის „სტარტის" სპორტსმენთა კოლექტივები.

წყალში მხტომელებს პაექრობა ჰქონდათ კიევში. ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო თ. შტრიროვა (ლვოვი), ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომაში — ბ. კოზლოვი. გუნდურ ჩოვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი, რსფსრ, უკრაინა.

პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების ასპარეზობა, რომელიც კრასნოდარში მოეწყო. ძალოსნობაში წარმატება მოიპოვეს უზბეკეთის კოლმეურნეობა „პოლიტოტდელის" სპორტსმენებმა. მძლეოსნობაში ყველას აჯობებს მოსკოვის გარეუბნის საბჭოთა მეურნეობა „ბელაია დაჩას" გუნდმა. ველოსმრბოლთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ზაპოროჟიეს ოლქის კამენსკ-დნეპროპეტროვსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კამენკას" ველოსმრბოლთა კოლექტივმა.

ცხრათვალა მგის ქვეშ

ახალი წიგნები •



ჩემპიონის გამარჯვება



რამდენიმე სტრიქონით

⊙ კიევში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება წყალში ხტომაში. ქალთა შორის ჩემპიონობის საკითხი ტრამპლინიდან ხტომაში გადაწყვიტა უკანასკნელმა ცდამ. ოქროს მედალი მოიპოვა 15 წლის ლვოველმა სპორტსმენმა ტ. შტირიოვამ. მეორე იყო ნ. ლობანოვა, მესამე — ნ. ტრუბოჩნიკოვა. ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომაში ჩემპიონი გახდა ს. კოჩარიანი.

⊙ სვერდლოვსკში მესტენდერთა საკავშირო ასპარეზობის უკანასკნელ დღეს შედეგ შეჯიბრება მრგვალ სტენდზე სროლაში წაიღო სამბზენეზე. მონაწილეობდა 70 სპორტსმენი. ფინალურმა ასპარეზობამ ჩემპიონი ვერ გამოავლინა, რადგან ი. ნიკანდროვს, ვ. გურეკოვსა და ი. კოსტილევს აღმოაჩნდათ ერთნაირი შედეგი. ოქროს მედლის საკითხი გადაწყვიტა დამატებითმა შეჯიბრებამ. აქ ყველას აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა ი. კოსტილევმა.

⊙ მოსკოვში თანამედროვე ხუთჭიდელთა საკავშირო ჩემპიონატზე ოთხი სახეობის შემდეგ წინაა არის დონისროსტოველი ვ. კრიაუევი — 4.178 ქულა. მეორე ადგილზეა ვ. ბელოვი, მესამეზე — ბ. ანიშჩენკო.

„ტორპედო" — „დინამო" 0:2

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (კიევი) 0:2 (0:2). ქუთაისი. 30 ივლისი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — პ. გავრილიადი (სოჭი).

„დინამო" — რუდაკოვი, მედვიდი, ხოსნინეხინი (კრულიკოვსკი), ლევჩენკო, საბო, ტურიანჩიკი, მუნტიანი, ბოგოვიკი, პუზაჩი (კაშჩეი), სერებრიანიკოვი, ხმელნიცკი; „ტორპედო" — ვრძელიშვილი, აბზიანიძე, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ოქროპირაშვილი (ზარია), ერქომაიშვილი, ასტაშვილი, ვეკუა (ჭოლაძე), ხერხაძე, ქიქავა.

თამაშის დასაწყისში მასპინძლებს გარკვეული უპირატესობა და მეტოქის კარის აღების რეალური შანსები ჰქონდათ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ანგარიში კიეველებმა გახსნეს. ეს უპირველეს ყოვლისა დაცვის შეცდომას უნდა მივაწეროთ. გოლის ავტორი ხმელნიცკი იყო. ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი მუნტიანმა მეორე ბურთი გაიტანა.

მეორე ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა, გაიმარჯვეს კიეველებმა 2:0.

დუბლიორთა მატჩშიც წარმატება კიეველებს ხვდათ 5:1.

მორიგ შეხვედრას „ქუთაისის ტორპედოელები გამართავენ 8 ადგილზეა მოსკოვში არმიის (ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან.

ჩემპიონის გამარჯვება

ბ ა ს კ ე ტ ბ ო ლ ი

ბუშინ ფეხბურთის მოედნებზე

ბუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურნირი მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

ლიდერი — მოსკოვის „სპარტაკი" ლუგანსკს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „ზარიასთან". წარმატება სპარტაკელებს ხვდათ ანგარიშით 2:0.

მატჩი ოდესაში „ჩერნომორეცისა" და ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა ოდესელთა გამარჯვებით 2:0.

ბაკოში თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა" და ბაკოს „ნეფტჩის" გუნდები. შეხვედრის შედეგია 2:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

მეორე ფინალურ ჯგუფში, სადაც გუნდებს დავა აქვთ მეთხუთმეტე-მეოცე ადგილებისათვის, გუშინ შედგა ერთი მატჩი. სვერდლოვსკში „ურალმაშის" წინააღმდეგ თამაშობდა ერევნის „არარატი". გაიმარჯვეს სვერდლოვსკელებმა 2:0.

ლენინგრადის კორტებზე

ლენინგრადში გრძელდება ჩოგბურთელთა დიდი ტურნირი, რომელიც „დინამოს" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით არის გათვალისწინებული.

ქალთა ერთეულებში გამოვლინდნენ პირველი ნახევარფინალისტები. ესენი არიან მ. ჩუვირინა და ე. კრიუჩკოვა. მ. ჩუვირინამ დაამარცხა რ. აბეანდაძე 6:3, 7:5, ე. კრიუჩკოვამ — ა. ერემეევა 0:6, 6:3, 6:2.

გათამაშების ცხრილი

ფრენბურთელთა ლიგა 31 ივლისისათვის

I-XIV ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (მ.)	13	10	2	1	20—5	22
„დინამო" (კ.).	13	8	5	0	15—3	21
„დინამო" (ობ.)	12	5	6	1	14—5	16
ცსკა	12	6	4	2	12—4	16
„ტორპედო" (მ.)	13	4	7	2	10—7	15
სკა (როსტ.)	12	4	3	5	11—15	11
„შახტიორი" (დ.)	12	2	6	4	13—13	10
„დინამო" (მ.)	12	3	4	5	11—13	10
„ზარია" (ლუგ.)	13	3	4	6	12—15	10
„ჩერნომორეცი" (ო.)	13	3	4	6	8—13	10
„ნეფტჩი" (ბ)	13	2	6	5	11—16	10
„ტორპედო" (ქ.)	13	4	1	8	10—23	9
„დინამო" (მნ.)	12	2	4	6	8—13	8
„ზენიტი" (ლ.)	13	2	4	7	7—17	8

XV-XX ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი" (ერ.)	19	6	5	8	18—25	17
„ალარატი" (ალმ.)	19	4	8	7	16—19	16
„ურალმაში" (სვ.)	20	5	6	9	11—19	16
„პახტაკორი" (ტ.)	18	6	3	9	16—23	15
„კრ. სოვ." (კუბ.)	19	4	4	11	17—24	12
„ლოკომოტივი" (მ.)	19	2	7	10	14—26	11

ლ. კ. ჭყუშელაშვილი —

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბიოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ლეილა კალისტრატეს ასულმა ტყუშელაშვილმა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ადამიანის აორტის მუკოპოლისაჭარიდების ჰისტობიოქიმია ათეროსკლეროზის დროს".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ლ. კ. ტყუშელაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

რ ა დ ი ო

პარასკევი, 1 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები. 06.35 — ვ. გოკიელი. ორი სარკეტრო პიესა, 07.30 — დილის კონცერტი (მოსკოვი), 08.30 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე", 11.45 — ტულიკოვი. სიმღერები, 12.10 — საუბარი „მუშათა კლასი წამყვანი ძალაა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში", 12.25 — ვლასოვი. ბრელუდია სიმებიანი კვარტეტისათვის და რომანსები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 15.00 — „ლენინის ხელმოწერით" (მოსკოვი), 17.15 — ბელინი. ნაწყვეტები ოპერა „ნორმადან", 17.35 — მოსწავლეთათვის. ლ. გოთუა. „ჩემი უსტარული". მოთხრობა, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.45 — სვირიდოვი. სიმღერები ვოკალური ციკლიდან ბერნსის ლექსებზე, 19.00 — საუბარი „ქალაქს — სუფთა ჰაერი", 19.15 — ნაწყვეტები გ. ცაბაძის ოპერეტებიდან, 20.45 — მოღლდაური მუსიკის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 22.00 — გრ. აბაშიძის ლექსები და ნაწყვეტები „დიდი ღამიდან", 22.50 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — ბეთჰოვენი. მეორე სიმფონია, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

31 ივლისი

18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ცხოვრობდა გოგონა", 19.30 — გადაცემა — „ოსკარ ფოქტი — საქართველოს მეგობარი", 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — დიადი თარიღის შესახვედრად სვირიდოვი „პათეტიკური ორატორია", 20.35 — საბჭოეთიზმი სპექტაკლი — „თეთრალები". პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 21.00 — ჩვენი სტუმრები, 21.25 — კინონარკვევი, 21.35 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 22.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.25 — კინონარკვევი, 22.35 — გადაცემა ციკლიდან „შემოქმედებითი პორტრეტები" — ვერა მოზინა.

კ ი ნ ო

31 ივლისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, კოლხიდა, ეკრანი — აჭანუყებულნი, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი (საზამთრო), სპარტაკი, ჭავჭავაძის ხელობის კულტურის სახლი, ბათუმი — ქალიშვილების მოტაცება, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), სპორტი — შექმენ ბრძოლა, საქართველო, ნაკადული — ფანტომასი სკოტლენდ-იარდის წინააღმდეგ (III სერია), საქართველო (საზაფხულო) — ათასიდან ერთი შესაძლებლობა, ისანი (საზაფხულო) — სიყვარული ქაშმირში (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — აურზაური ოჯახში, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — „ბოლოქანქარას არმია" კვლავ იბრძვის, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — თეთრი როიალი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — დაკები, გორკის სახელობის კულტურის სახლი, თანამგზავრი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — დაასწარ დარტყმა, ფრედი!, თანამგზავრი — იწილო, ბიწილო, კომკავშირელი — ხანელ-ხალილი უბანში, კომკავშირელი — იძულებითი გასეირნება. ნაკადული — პოემა ქვაში (I-II სერია), კოლხიდა (საზაფხულო) — მკვლელობა მყუდრო უბანში, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — ექიმ აბსტის ექსპერიმენტი, ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე — კოლონია ლანფიერი, ეკრანი — დოყლაპია.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99 72 80. ხამდივნოსი — 99 66 10. განუყოფელებებისა ბარტიული — 99 47 61 პროპაგანდის — 93 22 93, მრეწველობის — 93 20 34. სოფლის მეურნეობის — 99 52 46,